



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

მოგესხნებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები.....	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	18
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	21
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	22
საკონტაქტო ინფორმაცია	25

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ინვენტარიზაციის წესი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ.

რეგულირების სააგენტო – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

საგანგებო სიტუაციების ცენტრი – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

შრომის ინსპექცია – სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ჯანმრთელობის სააგენტო – სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

ჰოლდინგი – ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.-

1. რეკომენდაციები

1.1 კონსოლიდაცია

აუდიტის მიგნება

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციები ელიმინირდება (გამოირიცხება).¹ სამინისტროს მიერ წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამოირიცხული/ელიმინირებული ჯგუფის შიგნით – კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები, ხარჯები, ნაშთები. კერძოდ:

საგანგებო სიტუაციების ცენტრსა და ცენტრს შორის განხორციელებული 183,390 ლარის ოპერაციები, რომლებიც წარმოიშვა 2021 წელს საგანგებო სიტუაციების ცენტრის თანამშრომლებისთვის ჩატარებული PCR-ტესტირების საფუძველზე.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებისა, აღსანიშნავია, რომ ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრომ 2021 წელს ელიმინირებული თანხების იდენტიფიცირებისთვის გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ელიმინირებულია როგორც ფულადი, ისე არაფულადი მუხლებით წარმოქმნილი ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიზეზი

კონსოლიდაციის პროცესის შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანება.

გავლენა

შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი – 183,390 ლარით.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული. (იხ.თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №1.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა სამინისტრო.

რეკომენდაცია

შესასრულებლად

1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული რეგულირების სააგენტოს მიერ 2021 წელს ჯანდაცვის პროგრამების გეგმური და არაგეგმური რევიზიისა და კონტროლის აქტების შესაბამისად დაკისრებული 56,970 ლარის ფინანსური ჯარიმა.

ცენტრალური აპარატის „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ შესწავლით ვლინდება შემდეგი გარემოებები, რომელიც ასახულია საბოლოო ნაშთში:

¹ სსპასს 35, მუხლი 40.

- „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის პროგრამის“² ფარგლებში შპს „აკად ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ მიმართ არსებული 20,547,605 ლარის დებიტორული დავალიანება. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ახალი კორონავირუსით საექმო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისა და კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში, დამატებითი საწოლფონდის მობილიზების მიზნით, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკისთვის“ ვაჟა-ფშაველას გამზირზე N29-ში განთავსებული შენობა-ნაგებობა N2-ის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის გადაცემას, არაუმეტეს 9,000,000 ლარის ოდენობით, ხოლო აღჭურვისთვის საჭირო თანხის გადაცემას – არაუმეტეს 11,547,605 ლარისა. 2020 წლის ბოლოს, მხარეებს (სამინისტრო და კლინიკა) შორის გაფორმებული ორი ადმინისტრაციული ხელშეკრულების³ საფუძველზე, 2020 საბიუჯეტო წლის ასიგნების ფარგლებში კლინიკისათვის გადარიცხულია აღნიშნული თანხა. 2021 წელს კლინიკა სამინისტროში ეტაპობრივად წარმოადგენდა შესრულებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და აღჭურვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. აღნიშნული დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა სამინისტროს შიდა აუდიტის, მონიტორინგისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ და მასალები,⁴ დამატებითი შესწავლისა და რეაგირების მიზნით გადაეგზავნა შესაბამის უწყებას. სამინისტროს განმარტებით, დავალიანების ურთიერთშედარება განხორციელდება საკითხზე საბოლოო დასკვნის მიღების შემდგომ.
- შპს „ჯი ენ ელ“-ის მიმართ „წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების“ მუხლზე ასახულია 3,393,478 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია საქართველოს მთავრობის განკარგულების⁵ მიხედვით ლატარიის ორგანიზების შესახებ გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების⁶ საფუძველზე. დებიტორული დავალიანების ნაშთის დადასტურების მიზნით შპს „ჯი ენ ელ“-თან გაგზავნილია დასტურის წერილი. მიღებული წერილის თანახმად კომპანია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებს მხოლოდ 228,100 ლარის დავალიანებას. მხარეებს შორის ურთიერთშედარების აქტი გაფორმებული არ არის.
- ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის მიმართ აღრიცხულია 2019-2021 წლებში წარმოშობილი 31,914,593 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს საგრანტო პროექტის (KFW) ფარგლებში, დონორის მიერ გადარიცხულ თანხას და ნაწილი ასახულია 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში – „არაფინანსური აქტივებისა“ და „სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯის“ მუხლებში. სამინისტრო აღნიშნული თანხის დამადასტურებელ დოკუმენტაციას არ ფლობს. პასუხისმგებელი პირი განმარტებით

² 2019 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N674 დადგენილება „2020 წლის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.

³ ადმინისტრაციული ხელშეკრულება N12/ა და N14/ა.

⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2022 წლის 28 აგვისტოს წერილი N MOH 1 22 00248229;

⁵ 2021 წლის 9 სექტემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულება N1627- „Covid-ის წინააღმდეგ მიმართული ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანიის ფარგლებში ლატარიის ძირითადი პირობების განსაზღვრისა და გათამაშების ორგანიზების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

⁶ ხელშეკრულების მხარეები: ფინანსთა სამინისტრო, დამფინანსებელი- ჯანდაცვის სამინისტრო, ლატარიის ორგანიზატორი- შპს ჯი ენ ელ.

ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაიფარება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით გაფორმებული ურთიერთშედეგების აქტის საფუძველზე, რომელიც ამ დრომდე გაფორმებული არ არის.

- 2007-2019 წლებში ინვენტარიზაციების შედეგად წარმოშობილი არაფინანსური აქტივების დანაკლისი 1,015,734 ლარის ოდენობით. დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები და მათზე რეაგირების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია, სამინისტრომ ვერ წარმოადგინა.⁷

ჯანმრთელობის სააგენტოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ირკვევა, რომ ვერ მოხერხდა 2011-2017 წლებში წარმოშობილი 3,379,505 ლარის მოთხოვნების იდენტიფიცირება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში⁸ აღრიცხულია 2006 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდში 1,275 ფიზიკური პირის⁹ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, სულ – 24,707,098 ლარი. სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის მომენტში და მისი ჩამოწერის საფუძველი არის ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცენტრალურ აპარატში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და დავალიანებები არ არის შეფასებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.¹⁰ სააგენტოში ჩატარებული ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის მიხედვით¹¹ წინასწარი გადახდებით 2010-2012 წლებში წარმოქმნილი მოთხოვნები დიდი ნაწილი – 22,683,073 ლარი დარჩა დაუდასტურებელი. 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციისა და დებიტორული დავალიანების დადასტურების პროცესის შედეგად ჩამოწერილია მხოლოდ 686,005 ლარის დებიტორული დავალიანება.

ცენტრის ბალანსზე აღრიცხული 4,067,219 ლარის დებიტორული დავალიანების შესახებ დასტურის წერილი შესაბამისმა ორგანიზაციამ, გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), არ წარმოადგინა. დავალიანება წარმოშობილია 2013 წლის მემორანდუმის ფარგლებში ცენტრის მიერ წლების განმავლობაში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი რუტინული ვაქცინებისა და სახარჯი მასალების (შპრიცები, უსაფრთხო ყუთები) შესასყიდად ავანსად გადარიცხული თანხების საფუძველზე. მემორანდუმის ფარგლებში ცენტრი ახორციელებს წინასწარ გადახდებს და შედეგად ყოველწლიურად მიეწოდება რუტინული ვაქცინები და სხვა სახარჯი მასალა. აღნიშნულ დებიტორთან 2013 წლიდან ურთიერთშედეგების აქტი გაფორმებული არ არის, რის გამოც ვერ ვადასტურებთ დებიტორის მიმართ არსებულ ნაშთს.

⁷ ინვენტარიზაციის წესი, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁸ რომლის განმახორციელებელი 2010 წლამდე იყო სამინისტროს აპარატი, ხოლო 2021 სააგარიშგებო წელს – სააგენტო.

⁹ ცენტრალურ აპარატში 2006-2010 წლამდე პერიოდში 82 ფიზიკური პირი, თანხით – 2,024,026 ლარი, ხოლო სააგენტოში 2010 – 2021 წლებში – 1,193 ფიზიკური პირი, თანხით – 22,683,072 ლარი.

¹⁰ ინვენტარიზაციის წესი, მუხლები: 2 და 11.

¹¹ ინვენტარიზაციის შედეგების გაფორმების ოქმი #1- 30.05.2022.

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულების ანგარიშზე აღრიცხულია წინა წლებში აღიარებული ვალდებულების ნაშთი 8,233,363 ლარი არის 2010 წლამდე წარმოქმნილი გაურკვეველი დავალიანებები; მათი წარმოშობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა და არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე. დავალიანების ნაშთების დასადასტურებლად კრედიტორთა რეესტრიდან შერჩეულ ორგანიზაციებთან კრედიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის მოტივით არ არის გაგზავნილი დასტურის წერილები. კრედიტორული დავალიანების ნაშთიდან 12,227,893 ლარის დავალიანება 2003-2019 წლებშია წარმოშობილი, რომლებზეც წლის ბოლოს არც შედარების აქტებია გაფორმებული და ასევე არ არის განხორციელებული ინვენტარიზაცია.

ცენტრის ბალანსში „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახულია ვალდებულების დადასტურების მიზნით მიღებული დასტურის წერილების მიხედვით, 10 ორგანიზაცია სრულად ადასტურებს 2,795,792 ლარის დავალიანებას, ხოლო 5 ორგანიზაცია ჯამურად ცენტრის მიერ აღრიცხული 1,736,436 ლარის დავალიანების ნაცვლად აღიარებს 3,392,159 ლარს, ხოლო 7,246,389 ლარის კრედიტორული დავალიანებისათვის არ არის წარმოდგენილი დასტურის წერილები.

ჯანმრთელობის სააგენტოს „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლის ძირითადი ნაწილი შეადგენს სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. კრედიტორული დავალიანების ნაშთის დადასტურების მიზნით კრედიტორთა რეესტრიდან შეირჩა 50 კრედიტორი, რომელთა მიმართ დავალიანება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 281,160,659 ლარს; 21 კრედიტორისგან მიღებული დასტურის წერილების მიხედვით აუდიტის ჯგუფის მიერ დადასტურდა 54,006,940 ლარის კრედიტორული დავალიანება, ვერ დასტურდება 35,695,582 ლარის დავალიანება, ხოლო დარჩენილ 191,458,137 ლარის კრედიტორული დავალიანებისთვის დასტურის წერილები წარმოდგენილი არ არის.

ჯანმრთელობის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია „მიმდინარე ანარიცხები“, რომელიც წარმოშობილია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიმწოდებლად დარეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილი 2021 წლის იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულებისგან, რომლებზეც საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის არ იყო გაფორმებული ან/და მიმდინარეობდა შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავების პროცესი. სამედიცინო დაწესებულებების მიერ ინფორმაცია გარკვეული კომპონენტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ არ იგზავნება ელექტრონული ანგარიშგების მოდულში, მუშავდება პროგრამა „ჰესპერუსით“, შესაბამისად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს განმახორციელებელთან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას ნაბეჭდი და CD დისკით – ელექტრონული სახით. ანგარიშგების მომზადების ეტაპზე მატერიალური ფორმით წარდგენილი 2021 წლის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დამუშავების პროცესი გრძელდებოდა.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება სრულად არ ასახავს 2021 წელს წარმოშობილი „მიმდინარე ანარიცხების“ ღირებულებას.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა და კონტროლის სისუტე; ინვეტარიზაციის ჩაუტარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ – 101,083,161 ლარის საბოლოო ნაშთის არსებობასა და და სისწორეზე. ხოლო 56,970 ლარით შემცირებულია „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლისა და „გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის“ საბოლოო ნაშთები, ასევე შემცირებულია ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში - „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „ვალდებულებების“ მუხლი ჯამურად – 3,640,138 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო 263,268,126 ლარის საბოლოო ნაშთის შესახებ ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება არსებობას, სისწორესა და სისრულეზე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გამიჯვნა და გაძლიერდეს შეთანხმებული პირობების შესრულებაზე კონტროლი.

ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული. (იხ. თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №2.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი, რეგულირების სააგენტო, ცენტრი და ჯანმრთელობის სააგენტო.

1.3 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

ცენტრის მიერ სააღრიცხვო რეგისტრებში არ არის ასახული 2021 წელს სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ უკანდაბრუნებული სხვადასხვა დასახელების 47,972 ლარის სამედიცინო მარაგი.

2021 წელს ცენტრში ჩატარებულია მარაგების ფაქტობრივი აღწერა, რომელთა შესაბამისად წარმოდგენილ რეგისტრებში არ არის გამოყვანილი შედეგი – სხვაობა ფაქტობრივსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის.

ცენტრის მიერ აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი შიდა მოხმარებისთვის გახარჯული მარაგების ჩამოწერის დოკუმენტები რიგ შემთხვევაში არასრულყოფილია, ხოლო რიგ შემთხვევაში წარმოდგენილი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ნაწილი არ აკმაყოფილებს აღრიცხვის ინსტრუქციის

მოთხოვნებს.¹² კერძოდ, მასში არ არის მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენისა და დოკუმენტის შედგენის თარიღები, ასევე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები.

ცენტრალური აპარატის მიერ საანგარიშო წელს ჩატარებულია მატერიალური მარაგების ნაწილობრივი ინვენტარიზაცია, რომელმაც მოიცვა მხოლოდ მუხრანის საწყობში არსებული 812,836 ლარის მატერიალური მარაგები, რაც მარაგების ნაშთის 5%-ს შეადგენს.

მიზეზი

მარაგების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

გავლენა

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე აღრიცხული 162,355,158 ლარის აქტივების არსებობასა და სისწორეზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: შეუსრულებელი. (იხ. თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №3.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრი და ცენტრალური აპარატი.

1.4 ძირითადი, არამატერიალური, სხვა გრძელვადიანი ფინანსური და არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე მიწის ნაკვეთი¹³, რომელიც მიღებულია ორი მიწის ნაკვეთის¹⁴ გაერთიანების შედეგად. კერძოდ, 2015 წლის 30 ოქტომბერს აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი 4,337 კვ.მ გადმოცემულია სამინისტროსგან 99,751 ლარის ღირებულებით. 2017 წელს დამატებით ცენტრს სარგებლობის უფლებით გადმოეცა 1,099 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შპს „ექსპერტ ჯგუფის“ დასკვნით შეფასებულია 878,691 ლარად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღნიშნული აქტივი აღრიცხულია 878,691 ლარად, ნაცვლად 978,442 ლარია¹⁵.

ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, „ძირითადი აქტივების“ მუხლიდან ჩამოწერილია და საცნობარო ანგარიშზე ასახულია საანგარიშო წელს სრულად ამორტიზებული აქტივების ნაწილი - 690,916¹⁶ ლარის საწყისი ისტორიული ღირებულების ძირითადი და არამატერიალური აქტივები. აპარატის მიერ არ განხორციელდა აღნიშნული სრულად ამორტიზებული აქტივების შეფასება; კვლავ გამოიყენება თუ არა ეს

¹² ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

¹³ საკადასტრო კოდი- 01.72.14.014.884.

¹⁴ 4,337 კვ.მ მიწის ნაკვეთი- 01.72.14.014.720 და 1,099 კვ. მ. მიწის ნაკვეთი- 01.72.14.006.872, .

¹⁵ 99 751+ 878 691.

¹⁶ ძირითადი აქტივი -470,061 ლარი, არამატერიალური აქტივი 220,855 ლარი

ამორტიზებული აქტივები . საცნობარო მუხლზე გადატანილი აქტივებიდან სრულად ამორტიზებული 2 ერთეული ავტომანქანა საწყისი ისტორიული ღირებულებით - 54,280 ლარი, რომლებიც ისევ გამოიყენება აპარატის მიერ. სბასს 17-ის¹⁷ შესაბამისად, აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,¹⁸ რაც განხორციელებული არ არის.

ცენტრალური აპარატის დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე 2010-2013 წლებში შესყიდულია 2,290,000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების პროექტები და 532,874 ლარის გარე ელექტრომომარაგების სამუშაოები, რომლებისთვისაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ არის განხილული პროექტის შემდგომი გამოყენების საკითხი და შესაბამისად, დაკმაყოფილებულია¹⁹ თუ არა მათთვის აქტივად აღიარების კრიტერიუმები²⁰.

სააგენტოს აქტივების ინვენტარიზაციის დროს არ არის გადასინჯული ძირითადი და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ხოლო **ცენტრალურ აპარატსა და საგანგებო სიტუაციების ცენტრში** 2021 წელს ძირითადი და არამატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული. შესაბამისად არ გადასინჯულა ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ცენტრალურმა აპარატმა ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ანგარიშზე ასახულია 646,380 ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც სამინისტრო ფაქტობრივად არ ფლობს და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

ასევე ეკომიგრანტებისა და დევნილებისათვის გადასაცემად 1999-2011 წლებში შესყიდული 555,882 ლარის საქართველოს რეგიონებში მდებარე შენობებისათვის სამინისტრომ ვერ წარმოადგინა საკადასტრო კოდები და შესყიდვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია. შესაბამისად ვერ მივიღეთ რწმუნება აღნიშნული შენობა-ნაგებობის არსებობასა და სისრულეზე.

მიზეზი

ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; ძირითადი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მათ მართვასთან, მათ შორის, შეფასებასა და გადაცემასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები; სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

ძირითადი და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მუხლებში უზუსტობები.

¹⁷ სსბასს 17, მუხლი 67..

¹⁸ სსბასს 3-ის - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები.

¹⁹ ორგანიზაციების ნაწილი ლიკვიდირებულია, ზოგიერთის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება და ა.შ.

²⁰ სსბასს 1, მუხლი 7.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2019 და 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების სტატუსებია: ნაწილობრივ შესრულებული/შეუსრულებელი. (იხ. თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №4-7.

**კომპონენტები, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სააგენტო, საგანგებო სიტუაციების ცენტრი და ცენტრალური აპარატი.

აუდიტის მიგნება

ცენტრის ბალანში არამატერიალური აქტივების მუხლში აღრიცხულია მობილური აპლიკაცია „Trace TB“ და VST აპლიკაცია, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა ტექნიკური პერსონალის მიერ შეფასებულია განუსაზღვრელად. ერთეულის მიერ არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მიიჩნევა განუსაზღვრელად, თუ ყველა მიმდინარე ფაქტორის გაანალიზების შემდეგ ვერ განისაზღვრება იმ პერიოდის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის მიერ ერთეულში ეკონომიკური მომსახურების პოტენციალის შემოღება. შედეგად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულება აღნიშნული არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ცენტრალური აპარატში საანგარიშო წელს არ არის გამოყენებული სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები; არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი და ყველა აქტივის მიხედვით დარიცხულია ამორტიზაციის 10%-იანი განაკვეთი.

მიზეზი

კონტროლის სისუსტე და კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაციის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 4,228,796 ლარის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული „არამატერიალური აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთის სისწორესა და შეფასებაზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: შეუსრულებელი. (იხ. თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №8.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ცენტრი და ცენტრალური აპარატი.

აუდიტის მიგნება

2020 წელს **ჰოლიდინგს** საქართველოს მთავრობის განკარგულებით²¹ არსებობის ვადით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთ) ლარად, პირდაპირი გადაცემის ფორმით, მართვის უფლებით გადაეცა შემდეგი დაწესებულებები:

²¹ 2020 წლის 6 თებერვლის N222 განკარგულება.

ცხრილი N1. ინფორმაცია ჰოლდინგის 2020 წელს გადმოცემული გრძელვადიანი ფინანსური აქტივების შესახებ

დასახელება	წილი
შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“	100%
შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“	100%
სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“	100%

2021 წელს ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულებითა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ჰოლდინგს დამატებით გადაეცა:

ცხრილი N2. ინფორმაცია ჰოლდინგის 2021 წელს გადმოცემული გრძელვადიანი ფინანსური აქტივების შესახებ

დასახელება	წილი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“	100%
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	100%
სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“	100%

ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულებითა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ზემოაღნიშნული ორგანიზაციის აქციებისა და შპს-ების 100%-იანი წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა ჰოლდინგს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ბრძანების საფუძველზე ჰოლდინგმა, როგორც მართვის უფლების მიმღები უსასყიდლოდ არსებობის ვადით, მართვის უფლებით მიიღო შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ (245428880) და შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ (2454235514) 100%-იან წილებს.

2021 წელს სამინისტროს საქართველოს მთავრობის განკარგულებით მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადაეცა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 100%.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში, არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი, რაც სამინისტროსა და ჰოლდინგში არ არის განხორციელებული.

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ მუხლში უზუსტობები.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო

მიზეზი

გავლენა

რეკომენდაცია

კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ჰოლდინგი და სამინისტრო.

1.5 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

ცენტრმა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გრანტის სახით მიღებული თანხების აღრიცხვასთან დაკავშირებით, წინა წლის რეკომენდაცია²² მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა. 2021 წელს გლობალური ფონდის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში ჩარიცხული 13,876,285 ლარი ისევ საკასო მეთოდით აღრიცხა.

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, „მიზნობრივი გრანტების/ტრანსფერების აღსარიცხავად დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება, თუ შემოსავლის მიღების ოპერაციის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სავალდებულო მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“.²³ დაშვებული გამონაკლისით სარგებლობა კი, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ განმარტებულია ის გარემოება, რამაც გამოიწვია სტანდარტების ზოგადი ნორმიდან გადახვევა.²⁴ განმარტებით შენიშვნებში არ არის გაჩვენებული და დასაბუთებული სამართლიანი წარდგენის მიზნებისათვის სსპასს-ის ამ მოთხოვნიდან გადახრის²⁵ გამომწვევი გარემოებები.

ცენტრის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში საცნობარო მუხლზე „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები“ აღრიცხულია 33,083,666 ლარის აქტივები, ხოლო „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში“ – 3,515,826 ლარი.

აღნიშნული აქტივებიდან 8,855,930 ლარის აქტივები შეძენილია გლობალურ ფონდიდან მიღებული გრანტებით და გადაცემულია სხვა იურიდიულ პირებზე. აქტივების შეძენა და გადაცემა ხდება საქართველოში ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების მიზნით. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გლობალური ფონდი ცენტრისთვის გამოყოფს გრანტებს, ხოლო ამ პროგრამებით დასახული მიზნების მისაღწევად, გრანტის ფარგლებში განსაზღვრული ბიუჯეტით, ცენტრი დებს ხელშეკრულებებს პროფილურ იურიდიულ პირებთან. სახელშეკრულებო დაფინანსება მოიცავს ამ იურიდიული პირებისათვის/ მომსახურების შემსრულებლებისთვის როგორც ფულად სახსრების გადაცემას, ასევე აქტივების დროებით სარგებლობაში გადაცემას. ცენტრი გრანტის ფარგლებში შეძენილი აქტივების ღირებულებას აღიარებს იმ საანგარიშგებო

²² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის ანგარიში.

²³ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 10, პუნქტი 33.

²⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1.

²⁵ სსპასს 1, პუნქტი 135.

პერიოდის შემოსავლებად – „შემოსავლები გრანტებით“, როდესაც ცენტრი შეიძენს აღნიშნულ აქტივებს.

გლობალ ფონდის მიერ გაცემული გრანტებისთვის არსებობს 2014 წელს გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულება,²⁶ რომლის ფარგლებში თითოეული გრანტისათვის ფორმდება ინდივიდუალური საგრანტო ხელშეკრულება.²⁷

ჩარჩო-ხელშეკრულების მიხედვით:

- პროგრამის აქტივები პროგრამასთან მიმართებით ნიშნავს ერთობლივად ყველა საქონელს, ან სხვა მატერიალურ, ან არამატერიალურ ქონებას, რომლის შეძენა მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება გრანტის ფულადი საშუალებების გამოყენებით, მათ შორის, და არა მარტო ნებისმიერი აქტივი, რომლის ღირებულება არ არის სრულად ანაზღაურებული ასეთი პროგრამის ფარგლებში (შეიძლება შეძენილი იყოს წინა/სხვა პროგრამის ფარგლებში, იმავე/სხვა გრანტის ფარგლებში).
- პროგრამის აქტივების საკუთრების უფლებას განსაზღვრავს გლობალური ფონდი.²⁸ კერძოდ, ფონდმა შეიძლება აქტივზე საკუთრების უფლება დაიბრუნოს ან გადასცეს მის მიერ დასახელებულ ნებისმიერ სხვა იურიდიულ პირს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ცენტრი, ასევე იურიდიული პირი/მომსახურების შემსრულებელი.²⁹
- გლობალ ფონდი გრანტის მიმღებს ავალდებულებს,³⁰ მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რათა ცენტრმა თითოეული პროგრამისათვის, პროგრამის აქტივებთან დაკავშირებით გასწიოს გონივრული ხარჯები და დააზღვიოს საკუთრების რისკები. ამავე პუნქტის მეორე ნაწილის შესაბამისად, ცენტრი ვალდებულია, ნებისმიერი პროგრამის აქტივისათვის მიყენებული ზიანის, ზარალის, ქურდობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით ჩაანაცვლოს აქტივები, იმავე ოდენობის და ხარისხის მსგავსი აქტივებით.

საგრანტო ხელშეკრულებაში³¹ აღნიშნულია, რომ ყველა არაფინანსური აქტივი, რომელიც რჩება წინა საგრანტო ხელშეკრულებიდან, სრულად უნდა აღირიცხოს და შედგეს შესაბამისი დოკუმენტი – „წინა პროგრამის აქტივები“, იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო არ არის შეთხმეული გლობალ ფონდთან.

ზემოთ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ღირებულება იმ აქტივებისა, რომელთაც ცენტრი ყიდულობს გრანტის ფარგლებში და ეკისრება ვალდებულება მათი გამოყენებით, ქვეკონტრაქტორების მეშვეობით მიაღწიოს დონორის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივი გრანტების დასახულ მიზნებს, უნდა აღიაროს ვალდებულებად³² გლობალ ფონდის მიმართ. ეს

²⁶ „ზოგადი/საერთო მარეგულირებელი ნორმები გლობალ ფონდის მიერ შიდასთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის მიზნით, გლობალ ფონდის მიერ გაცემული გრანტების შესახებ“.

²⁷ მაგალითად, გლობალ ფონდსა და ცენტრს შორის გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულება GEO-H-NCDC N 1831 (ფინანსთა სამინისტროს ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის ნომერი N 1797).

²⁸ ჩარჩო-ხელშეკრულების 6.7 პუნქტი.

²⁹ აუდიტის პერიოდში გრანტის ფარგლებში პროგრამის აქტივები, კერძოდ, 37 ავტოსატრანსპორტო საშუალება, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღრიცხულია ცენტრის სახელზე.

³⁰ ჩარჩო-ხელშეკრულების 6.4 პუნქტი.

³¹ საგრანტო ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტი.

³² სსპას 23, მე-17 პუნქტი - ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივების პირობებს - ერთეულისაგან აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის, ან მომსახურების პოტენციალის დაზიანებისაგან მოხმარებას ან პირობების დარღვევის შემთხვევაში, ტრანსფერის განმახორციელებელი ერთეულისათვის დაბრუნებას მოითხოვს.

ვალდებულება უნდა შემცირდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შესაბამისად და აისახოს როგორც „შემოსავალი გრანტებით“, რათა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანი წარდგენის პრინციპის საფუძველზე ასახავდეს ცენტრის მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების დინამიკას.

ამასთანავე, მომსახურების შემსრულებლებისათვის გადაცემული აქტივების ღირებულება ცენტრმა უნდა აღიაროს მოთხოვნებად, რომელიც უნდა შემცირდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შესაბამისად.

ცენტრის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ჯამური შემოსავლები 290,772 ლარის მეტობით არის წარდგენილი საბუღალტრო რეესტრ-ორისში შემოსავლების ანგარიშზე აღრიცხულ თანხებთან შედარებით. აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით პასუხისმგებელმა პირმა ვერ წარმოადგინა განმარტება და შესაბამისად აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დადგინდა შემოსავლების რომელ მუხლს უკავშირდება აღნიშნული უზუსტობა.

მიზეზი

არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების დარიცხვის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები. სამინისტროში არ არის შემუშავებული „შემოსავლები გრანტებით“ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „შემოსავლების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: შეუსრულებელი. (იხ. თავი 4.) წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №9.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრი.

1.6 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ინფორმაცია გამჟღავნებული საცნობარო ანგარიშებისა³³ და განმარტებითი შენიშვნების შესახებ³⁴. არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით

³³ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის ინსტრუქცია, მუხლი 12.- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია ასევე საცნობარო ანგარიშები, რომლებიც გამოიყენება ერთეულის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარსადგენად. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.

³⁴ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის ინსტრუქცია, მუხლი 17. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების წარდგენა საჭიროა დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რათა დაეხმაროს მომხმარებელს როგორც ერთეულის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების, ასევე აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებაში.

გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ:

2021 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის მოთხოვნათა – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნების“ შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია³⁵.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე³⁶, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა³⁷. სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ ხდება მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე ასახვა. საანგარიშო წელს წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებსა და საცნობარო ანგარიშებზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სასამართლოში წარმოებული საქმეების შესახებ, ასევე მათი პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე აღრიცხვის საკითხები. კერძოდ:

- **ცენტრალური აპარატის** მიერ წარდგენილი საცნობარო ანგარიშები სრულყოფილად არ ასახავს ინფორმაციას მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღრიცხვის აღნიშნული ნაკლოვანება გამოწვეულია იმით, რომ საქმეები ეფუძნება შეფასებებს, რომელიც მოითხოვს შესაბამის კომპეტენციას და ამასთან ერთად, საფინანსო სამსახურმა ზოგიერთ საქმესთან დაკავშირებით ვერ შეძლო თანხების ზუსტი ოდენობის იდენტიფიცირება;
- **ჯანრთელობის სააგენტოს** მიერ კონტროლისა და რევიზიის აქტების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების მხრიდან აქტის/გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მოთხოვნა რჩება საბალანსო ანგარიშზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. თუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით მოხდა დაკისრებული სანქციის გაუქმება ან შემცირება, შესაბამისი აქტი ბალანსიდან ჩამოიწერება, როგორც აქტივების ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.
- **რეგულირების სააგენტოს** მიერ ჯანდაცვის პროგრამების გეგმური და არაგეგმური რევიზიისა და კონტროლის აქტების ფარგლებში აღსრულებადი სანქციები: ფინანსური ჯარიმა – 1,085,110 ლარი და უკან დასაბრუნებელი/აღსადგენი თანხა – 206,370 ლარი, გასაჩივრებულია და მიმდინარეობს სასამართლო დავა. სააგენტოს მიერ არ არის შეფასებული სასამართლო დავების მოსასალოდნელი შედეგები, რომლებიც გახდებოდა

³⁵ სსბასს 20, მუხლები: 27 - 41.

³⁶ სსბასს 1, მუხლი 27.

³⁷ სსბასს 19.

აღნიშნული თანხის აქტივად ან/და პირობით აქტივად აღიარების საფუძველი.

ჯანმრთელობის სააგენტომ წინა საანგარიშო წელს შეცვალა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიხედვით გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯად აღიარების აღრიცხვასთან დაკავშირებული მიდგომა: 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ჯანდაცვის პროგრამების მიხედვით გაწეული ის მომსახურებები, რომლებზედაც ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ მის წარდგენამდე დაზუსტდა და გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, ბალანსში აღიარებულია ვალდებულებების მუხლით, ხოლო იმ სამედიცინო მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი თანხები, რომელთა შესახებ ელექტრონული ანგარიშგების მოდულში არსებობდა ინფორმაცია – სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი თანხების შესახებ, მაგრამ ჯერ არ იყო დასრულებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის ინსპექტირების პროცესი, აღრიცხული იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „მიმდინარე ანარიცხების“ მუხლით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, 2021 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ მიმდინარე პერიოდის ხარჯებში - სამედიცინო ხარჯებში აღიარებულია სამედიცინო დაწესებულებების მიერ 2020 წელს შესრულებული 1,675,242 ლარის სამუშაოს ღირებულება, რომელიც არ იყო აღიარებული წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არც შესაბამისი სამედიცინო ხარჯების და არც „მიმდინარე ანარიცხების“ მუხლზე. შესაბამისად, 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ხარჯი მოიცავს გასული, 2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურებით წარმოშობილი ხარჯების ნაწილსაც, რის შესახებაც ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

მიზეზი

არასრულყოფილი კონტროლი; ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა; არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი ყველა საჭირო ინფორმაციით; ასევე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნების და ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების არასამართლიანი წარდგენა.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: შეუსრულებელი. (იხ. თავი 4). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №10.

კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი, ჯანმრთელობის სააგენტო და რეგულირების სააგენტო.

1.7 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით,

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა,³⁸ რომლის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციებსა და წესებს შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლოში გასაჩივრებული საქმეების მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნები/ვალდებულებები, პირგასამტეხლოები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და ასევე სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საკითხები.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის გამოყენება (მაგალითად, ჯანმრთელობის სააგენტო სასამართლოში წარმოებული საქმეების მიხედვით მოთხოვნებს აღიარებს დებიტორული დავალიანებების საბალანსო მუხლში, ხოლო ზოგიერთი დაქვემდებარებული ორგანიზაცია საცნობარო ანგარიშზე – „პირობით აქტივად“. ყველა შემთხვევაში სანქციებიდან და ჯარიმებიდან დარიცხული შემოსავლები ანგარიშგებაში არ არის აღიარებული შემოსავლად და სხვ.).

სამინისტროს კონსოლიდირებული ერთეულებიდან არც ერთ მათგანს არ აქვს ინსტრუქციის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა. 2021 წელს სააგენტოს შემუშავებული აქვს „სააგენტოს მნიშვნელოვანი ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომების და პოლიტიკების“ დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებით იდენტიფიცირებულია არსებითი ხასიათის პრობლემური საკითხები. ამასთან, კონკრეტულ გარემოებათა და მათ მიერ სააგენტოს ფინანსურ მონაცემებზე გავლენის ანალიზის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან მითითებებს ეკონომიკური მოვლენის სწორად და სრულად აღრიცხვისათვის, რათა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები იყოს სამართლიანი და უტყუარი.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები; ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება ფინანსურ ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მიზეზი
გავლენა

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 4). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №11.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო.

³⁸ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ცენტრის ბალანსში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებებისა“ და „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში ასახულია 89,217 ლარის მოთხოვნა, 1992-2014 წლებში დაკარგული და მიებაში მყოფი 54 ერთეული სხვადასხვა დასახელების აქტივი³⁹, რომელზე მასალები გადაცემულია სამართალდამცავ ორგანოებზე.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ცენტრი.

2.2 ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

2020 წლის 1 იანვრიდან საგანგებო სიტუაციების ცენტრი იყენებს იმ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრზე, რომლის სამართალმემკვიდრე გახდა საგანგებო სიტუაციების ცენტრი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამის მუხლებზე ასახული არ არის ქ. თბილისის 19 სხვადასხვა უბანში განთავსებული აქტივები- 4,200 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 4,352 კვ. მ შენობა-ნაგებობები.⁴⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2022 წელს დაწყებულია მათ სარგებლობაში არსებული აქტივების ღირებულების დადგენა-შეფასების პროცესი და ზემოაღნიშნული აქტივების ნაწილი გათვალისწინებულია შესაფასებელი აქტივების რეესტრში.

ცენტრის მიერ 2021 წლის სექტემბერში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან უსასყიდლოდ მიღებული 228 ცალი სამედიცინო მაცივარი ნაცვლად 478,085 ლარისა აღიარებულია 429,780 ლარით შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივის ღირებულება შემცირებულია 48,305 ლარით.

სააგენტოს მიერ არ არის ასახული ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული რაჭაში მდებარე 1,171 კვ.მ მიწის ნაკვეთი⁴¹, რომელიც 2010 წელს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტისაგან.

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია 198,115 ლარის შენობა-ნაგებობები⁴², რომლებიც აღარ იმყოფება მის ფაქტობრივ სარგებლობაში, 2021 წლის დასაწყისისთვის შეწყვეტილია სარგებლობის უფლება; ასევე ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 863,182 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები, რომლებზეც არ არის გამიჯნული შენობისა და მიწის ნაკვეთის ღირებულება.

³⁹ მათ შორის ოთხი ავტომანქანა- დაკარგვის წლები 1992-2002წწ და სხვა სოფისე ტექნიკა.

⁴⁰ აღნიშნული საკითხი ასევე აღნიშნული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

⁴¹ რაჭა, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N 11ბ, საკადასტრო კოდი- 86.19.22.010.

⁴² ქალაქ სიღნაღში, ლაგოდეხში, შუახევის რაიონში, დაბა წნორში, მარნეულში, გორსა და დაბა ხარაგაულში არსებული შენობა-ნაგებობები.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო, საგანგებო სიტუაციების ცენტრი და ცენტრი.

2.3 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია 2020 წლის 21 იანვარს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისისგან გადმოცემული 539,717 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ტექნიკა, მათ შორის ძირითადი აქტივი 514,121 ლარი და მცირეფასიანი ინვენტარი - მატერიალური მარაგები - 25,596 ლარი.

ცენტრის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში 244,115 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლებიც 2020 წელს არის მიღებული და დუბლირებულად ასახული წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ნაცვლად კაპიტალის კორექტირების ანგარიშზე ასახვისა აღრიცხულია საანგარიშგებო წლის შემოსავლების შემცირებით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საგანგებო სიტუაციების ცენტრი და ცენტრი.

2.4 ხარჯები

აუდიტის მიგნება

ჯანმრთელობის სააგენტოს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული 1,489,493 ლარის ხარჯი წარმოშობილია სამედიცინო დაწესებულებების მიერ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომლებიც პროგრამული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ანგარიშგების შემდგომ პერიოდში გაუქმებულია და არ არის დაკორექტირებული. ასევე დუბლირებულად არის ასახული ორი სამედიცინო დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება - ჯამში 34,627 ლარით. ერთ-ერთი კლინიკის შემთხვევაში 2020 წლის ნოემბრის შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 51,450 ლარი წინა წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული იყო „მიმდინარე ანარიცხებად“⁴³. 2021 წელს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მიმდინარე ანარიცხების ბალანსიდან ჩამოწერილია 50,250 ლარის ვალდებულება და ამავდროულად საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში შეცდომით თავიდან არის აღიარებული სოციალური დახმარება/უზრუნველყოფის ხარჯი და გაზარილია 2021 წლის პერიოდის ხარჯი.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეფასებული⁴⁴ **ცენტრის** ბალანსზე რიცხული 52 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება შეადგენს 1,549,800 ლარს. ერთჯერადი გადაფასებით მიღებული შედეგი ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „აქტივების და ვალდებულებების ფლობიდან მიღებული სხვა მოგება“ ანგარიშისა ასახულია

⁴³ რადგან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის არ იყო გაფორმებული სამედიცინო დაწესებულებასთან მიღება-ჩაბარების აქტი.

⁴⁴ 2021 წლის 10 დეკემბრის ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით.

„არაფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლების“ ანგარიშზე. ამასთანავე გადაფასების შედეგად აქტივების ფლობიდან მიღებული მოგება დაანგარიშებულია გადაფასებული 48 ავტომობილის 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულებისა და შეფასებული ღირებულების გამოყენებით. შედეგად, შემცირებულია 2021 წლის ცვეთა/ ამორტიზაციის ხარჯები 180,616 ლარით და 283,095 ლარით შემცირებულია „შემოსავლები“. ასევე 4 ავტომობილის გადაფასების შედეგის გაუთვალისწინებლობის გამო 31 დეკემბრის მდგომარეობით 72,130 ლარით შემცირებულია ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება.

ცენტრის მიერ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „სამედიცინო ხარჯების“ მუხლი 3,479,192 ლარის ოდენობით გაზრდილად არის წარდგენილი. აღნიშნული წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებების მიერ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდს მისაკუთვნილებელი შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, რომელიც ნაცვლად 2021 წლის სამედიცინო ხარჯებისა აღიარებული უნდა იყოს კაპიტალის – „გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის“ ანგარიშის კორექტირებად. ასევე წინა საანგარიშგებო წელს 2,152,026 ლარის სხვადასხვა დასახელების მარაგები ნაკლები ოდენობით იყო ჩამოწერილი და ხარჯად აღიარებული. აღნიშნული უზუსტობა ცენტრმა ნაცვლად კაპიტალის ნაშთი კორექტირებისას ასახა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად.

ცენტრმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების არაჯეროვნად შესრულებისა და სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის გამო საქონლისა და მომსახურების მომწოდებელი იურიდიული პირებს დაარიცხა 143,662 ლარის ჯარიმა. ცენტრის შეფასებით აღნიშნულ ორგანიზაციებისგან თანხის მიღებასთან დაკავშირებით გააჩნდა გარკვეული რისკი, მოთხოვნების დაფარვა განისაზღვრა დაბალი ალბათობით და ცენტრის მიერ აღნიშნული თანხა გადატანილია ბალანსგარეშე საცნობარო მუხლზე-„ვადაგადაცილებული დავალიანები“, ნაცვლად დებიტორული დავალიანების ანარიცხის შექმნისა.

ცენტრის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები ბუღალტრული რეესტრის - ორისის მონაცემებთან შედარებით 1,855,842 ლარის მეტობით არის წარდგენილი. აღნიშნული სხვაობა პასუხისმგებელი პირის განმარტებით წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებების მიერ უკანდაბრუნებული მარაგების ღირებულებას, რომელიც ამ დაწესებულებებზე გადაცემისას ჩამოწერილი იყო ხარჯების ანგარიშით და უკან დაბრუნებისას აისახა ბუღალტრულ რეესტრში, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯების აღდგენა, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას.

ცენტრი და ჯანრთელობის სააგენტო.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 ურთიერთშეუსაბამო ნორმატიული აქტები

აუდიტის მიგნება

საქართველოს მთავრობის დადგენილების⁴⁵ მიხედვით პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტად განისაზღვრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება). დადგენილების თანახმად სამინისტროს დაევალოს უზრუნველყო თანხის გადარიცხვის პროცედურების განსახორციელებლად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს - უზრუნველყოს თავის მართვაში არსებული კომპანიის (შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“) კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით. შესაბამისად 2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხები აღიარებულია ხარჯად, რომელიც გადახურულია და ასახულია კაპიტალის ნაშთზე.

2020 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე⁴⁶ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურმა საუნივერსიტეტო კლინიკასა და სამინისტროს შორის გაფორმებულია უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლინიკა სარგებლობაში იღებს სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (43.10.42.174), მასზე განთავსებული/დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. ქონების გამოყენება უნდა განხორციელდეს ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის სამართავად დადგენილების პირობებისა და მიზნების შესაბამისად. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პერიოდულად შედიოდა ცვლილება და ხელშეკრულების ვადა ხანგრძლივდებოდა. ბოლო ცვლილების მიხედვით ხელშეკრულება ძალაში იყო 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ სოფ. რუხში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებულია მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკა, არის სამინისტროს სარგებლობაში და არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სამინისტროს მიერ გაფორმებული უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება და მთავრობის დადგენილება N116 წინააღმდეგობაში მოდის, კერძოდ სამინისტრო სარგებლობის უფლებით გადაცემს იმ აქტივს, რომელზეც საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

⁴⁵ 2014 წლის 27 იანვარის საქართველოს მთავრობის დადგენილება N116 - „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

⁴⁶ 2020 წლის 22 აპრილის საქართველოს მთავრობის დადგენილება N256.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია №1 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს ხელმძღვანელობამ ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა ჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირებას, საბალანსო ერთეულების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების ურთიერთშედარებას და ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირებას, შედეგად კი, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №2 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აპარატის, ცენტრისა და სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №3 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების სათანადო აღრიცხვას, რაც ასევე მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს. შესრულებული.
რეკომენდაცია №4 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	დევნილთა სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს აქტივების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება (საკადასტრო კოდი, დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საკუთრების უფლების შესახებ ინფორმაცია), განახორციელოს ქონების სრული და ანალიზური აღრიცხვა შესაბამისი ფართების და ღირებულების მიხედვით, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, საკითხი განმარტოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №5	დევნილთა სააგენტოში, სააგენტოსა და ცენტრალურ აპარატში ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

შეუსრულებელი.

რეკომენდაცია №6

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დევნილთა სააგენტომ და ცენტრალურმა აპარატმა შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის ეფექტიან კომუნიკაციას და პირველადი დოკუმენტაციის და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულ მიმოცვლას.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია №7

ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი მუხლების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ფაქტობრივ მფლობელობაში ღირებულების გარეშე არსებული აქტივების და ასევე იმ ამორტიზებული აქტივების, რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, შეფასება და აღრიცხვა.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

შეუსრულებელი.

რეკომენდაცია №8

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიცირონ როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივებად და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატარონ გაუფასურების ტესტირება. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

შეუსრულებელი.

რეკომენდაცია №9

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების სახით თითოეული ხელშეკრულების პირობების საფუძველიანი ანალიზის შედეგად მათი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა განხორციელონ სსბასს-ების მითითებებით დარიცხვის მეთოდის შესაბამისად; სამინისტრომ შეიმუშაოს შემოსავლების, მათ შორის, ჯარიმების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

შეუსრულებელი.

რეკომენდაცია №10

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალური კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

რეკომენდაცია №11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა ცენტრალურ აპარატთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკისა და განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას; ასევე, მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

მიმდინარე.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	თამარ ბაბუნაშვილი ელფოსტის მისამართი: tbabunashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE